ა(ა)იპ – ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და ქ.ახალციხის №6 საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე 09.03.2012 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ – ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივესიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოდგენილი მისი რექტორის, სრული პროფესორის თინა გელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №6 საჯარო სკოლა (შემდგომში სკოლა) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზაზა თამარაშვილის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1

მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განათლების სფეროში. უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პროფესიული პრაქტიკის ბაზის შექმნა და მომავალში სკოლის მოსწავლეთა და უნივერსიტეტის სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლის, საუნივერსიტეტო სკოლად ჩამოყალიბება.

მუხლი 2

1. მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები იღებენ ვალდებულებას შემდეგზე:

უნივერსიტეტი:

ა) უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარებას სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ;

ბ). უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მიერ, უნივერსიტეტში არსებული აკრედიტებულ მასწავლებელთა პროფესიული საგანმათლებლო პროგრამის ფარგლებში სკოლის პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებას და გადამზადებას.

გ). უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას;

დ). უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში აქტიურ ჩართვას.

სკოლა:

ა). უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამისა და მასწავლებელთა მომზადების მინორ პროგრამის ფარგლბში არსებული პედაგოგიური პრაქტიკის მოთხოვნების მიხედვით, უნივერსიტეტის სტუდენტებს უზრუნველყოფს პედაგოგიური პრატიკით, რისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს.

ბ). ხელს შეუწყობს მემორანდუმის მიზნის განხორციელებას.

2. მხარეები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სკოლის პედაგოგების მეშვეობით, მოამზადებენ ერთობლივ სასწავლო და კვლევით პროექტებს.

მუხლი 3

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები განისაზღვრება მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 6

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ქ.ახალციხის №6 საჯარო სკოლა

ქ. ახალციხე, პეტრე იბერის ქ.№2

დირექტორი,

ზაზა თამარაშვილი

ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ახალციხე რუსთაველის ქ. №106

რექტორი, პროფესორი

თინა გელაშვილი

შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ

„25“ აგვისტო 2016 წ.

ქ.ახალციხე

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივესიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №6 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი დირექტორის, გივი კაპანაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №194 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 04 აპრილის №272 დადგენილებისა და მხარეთა შორის 2012 წლის 09 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმის მე-5 მუხლის თანახმად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდგზე:

1.შეტანილ იქნეს ცვლილება მხარეთა შორის 2012 წლის 09 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმის პრეამბულაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ერთის მხრივ, სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივესიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ქ.ახალციხის №6 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი დირექტორის, გივი კაპანაძის სახით, მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე“.

2.შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის 2012 წლის 09 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ინახება მხარეებთან.

სსიპ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

რექტორი, პროფესორი

მერაბ ბერიძე

ქ.ახალციხის №6 საჯარო სკოლა

ქ. ახალციხე, პეტრე იბერის ქ.№2

დირექტორი

გივი კაპანაძე